საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 49 2018 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში – საბჭო) წევრებად დაინიშნონ:

დავით მალაზონია – შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ მასწავლებელი, საბჭოს თავმჯდომარე;

გიორგი გიგიბერია – ა(ა)იპ – ფონდ საერთაშორისო განათლების ცენტრის პროგრამების მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

თამილა ჩუბინიძე – სსიპ – ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის №150 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, საბჭოს მდივანი;

დავით ჭეიშვილი – სსიპ – ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის №87 საჯარო სკოლის დირექტორი;

გელა მაჭარაშვილი – სსიპ – საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის №2 საჯარო სკოლის დირექტორი;

თამარ მამსიკაშვილი – სსიპ – ქალაქ თბილისის №64 საჯარო სკოლის დირექტორი;

ნინო ჯანჯღავა – ა(ა)იპ – წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის დირექტორი;

მაკა მამფორია – შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი;

ავთანდილ აბდუშელიშვილი – შპს „დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას“ დირექტორი;

რევაზ აფხაზავა – ა(ა)იპ – განათლების პოლიტიკის, დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე;

კახაბერ ფარცვანია – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი.

მამუკა ბახტაძე